ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი №01/16

ქ. თბილისი **18.03.2016**

სხდომა დაიწყო: 18:34 სთ **სხდომა დასრულდა: 19:25 სთ**

ეთიკის კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 18 მარტს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ოფისში, მდებარე ქ. თბილისში, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №36.

ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა ეთიკის კომისიის თავმჯდომარის დავალებით, ეთიკის კომისიის წევრებისათვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას უძღვება ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ციცინო ცხვედიანი. ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა კანონისა და წესდების მოთხოვნების სრული დაცვით, ამის გამო არც ერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ეთიკის კომისიის სხდომას ესწრებიან ეთიკის კომისიის წევრები:

1. ციცინო ცხვედიანი
2. გია ტაბლიაშვილი
3. ნინო მიქიაშვილი
4. ქეთი უტიაშვილი
5. პავლე აბაიაძე
6. თეა ჭეიშვილი
7. ნელი ვარდიაშვილი
8. გიორგი ტურაზაშვილი
9. ნათია კორკოტაძე
10. ინგა სეხნიაშვილი

11. თორნიკე ბაქრაძე
12. ხათუნა გრიგალაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ ციცინო ცხვედიანმა აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება ეთიკის კომისიის შემადგენლობის უმრავლესობა, ამდენად, სხდომა კანონისა და წესდების შესაბამისად გადაწყვეტილებაუნარიანია.

სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება ეთხოვა ეთიკის კომისიის წევრს, ქალბატონ ინგა სეხნიაშვილს, რომელსაც ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ეთიკის კომისიის იურისტი მედეა ინასარიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ციცინო ცხვედიანმა ეთიკის კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

ეთიკის კომისიის დღის წესრიგით გათვალისწინებულია შემდეგი საკითხი:

ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ვებ-გვერდზე განთავსებულ ეთიკის კომისიის დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებებში ადვოკატის სახელის, გვარისა და სიითი ნომრის გასაჯაროების საკითხი.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ განცხადებით მომართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ადვოკატ გიორგი ქუმსიაშვილის წერილის საფუძველზე და მოითხოვა, ასოციაციამ მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა მიზნით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვლისწინებული რომელი სამართლებრივი საფუძვლებით იქნა განთავსებული გიორგი ქუმსიაშვილის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია (2014 წლის წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება N103/13 საქმეზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება Nდს-შ/5-14 საქმეზე) ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კუთვნილ ვებ-გვერდზე - www.gba.ge. ამასთან, კომისიამ უნდა აცნობოს, მოითხოვა თუ არა გიორგი ქუმსიაშვილმა მისი მონაცემების დეპერსონალიზაცია ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში, დააკმაყოფილა თუ არა ასოციაციამ მისი მოთხოვნა ან წინააღმდეგ შემთხვევაში, რა იყო მისთვის უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ადვოკატმა გიორგი ქუმსიაშვილმა 2015 წლის 17 დეკემბერს N190/15 განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ასოციაციას უზრუნველეყო აღნიშნულ გადაწყვეტილებებში მონაცემთა დეპერსონალიზაცია. კომისიის მიერ მას N214/15, 28.12.15 წერილით მიეთითა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების“ შესახებ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტზე და განემარტა,

რომ 2013 წლიდან ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, კომისიის საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე, დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულია პირის სახელისა და გვარის მითითებით და ვინაიდან აღნიშნული არ არღვევს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დანაწესს, მის მიერ მოთხოვნილი მონაცემების დეპერსონალიზაცია ვერ მოხდებოდა.

ეთიკის კომიიის თავმჯდომარემ შესთავაზა წევრებს ემსჯელათ კომისიის გადაწყვეტილებებში ადვოკატის პერსონალური მონაცემების გასაჯაროების შესახებ.

ეთიკის კომისიის წევრმა ხათუნა გრიგალაშვილმა აღნიშნა, რომ ეთიკის კომისიამ 2012 წლის 21 ივნისის N05/12 სხდომაზე იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომისიის საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებში ადვოკატის სახელი, გვარი და სიითი ნომერი უნდა გამხდარიყო საჯარო.

ეთიკის კომისიის წევრის გიორგი ტურაზაშვილის მოსაზრებით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაზე", შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატს კომისიის მიერ ინფორმაციის მიწოდებაზე უნდა ეთქვას უარი. ასევე, სასურველი იქნებოდა, თუ ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატ გიორგი ქუმსიაშვილს 2015 წლის 28 დეკემბრის N214/15 წერილში მიეთითებოდა ის კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც მას მონაცემთა დეპერსონალიზაციაზე ეთქვა უარი.

ეთიკის კომისიის წევრმა გიორგი ტურაზაშვილმა განაცხადა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები საჯაროა. ასევე, მიზანს მოკლებულია კომისიამ გამოყოს პირი, ვისაც ექნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან ურთიერთობის უფლებამოსილება, რადგან ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, კომისიას აქვს უფლებამოსილება არ მიაწოდოს მათ ინფორმაცია.

კომისიის წევრის გიორგი ტურაზაშვილის მოსაზრებით, ამ საკითხზე ევროპული პრაქტიკის გასაგებად სასურველია, თუ მოხდება დონორთან დაკავშირება და ექსპერტის მოსაზრების გაცნობა.

ეთიკის კომისიის წევრი პავლე აბაიაძე დაეთანხმა გიორგი ტურაზაშვილს.

კომისიის წევრის გია ტაბლიაშვილის მოსაზრებით, კომისია უნდა დაფიქრდეს იმ საკითხთან დაკავშირებით, ხომ არ აჯობებდა, კომისიას გამოეყო პერსონალური მონაცემების დაცვის აპარატთან საკონტაქტო პირი.

ეთიკის კომისიის წევრის გიორგი ტურაზაშვილის მოსაზრებით, რადგან კანონი კომისიას არ ავალდებულებს ინფორმაციის მიწოდებას, ამიტომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია მიიღებს არაფორმალურ ხასიათს, რისი საჭიროებაც არ არსებობს.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ", ,,ვ" და ,,ზ" ქვეპუნქტების თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ ,,მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით"; ,,კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა", ,,მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად", აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისია არ არღვევს ,,პერსონალურ მონაცემების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს, რადგან გადაწყვეტილებების გასაჯაროება დაშვებულია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად და ვებ-გვერდზე გამოქვეყნება ხორციელდება საჯარო - კორპორატიული ინტერესის დასაცავად.

ეთიკის კომისიის წევრის ნინო მიქიაშვილის მოსაზრებით, უმჯობესია პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატს კომისიის მიერ პასუხად მიეწეროს, რომ მართალია ეთიკის კომისია არ არის ვალდებული მიაწოდოს მას რაიმე სახის ინფორმაცია, თუმცა მასთან ითანამშრომლებს.

ეთიკის კომისიის წევრის თეა ჭეიშვილის მოსაზრებით, ეთიკის კომისიამ თავისი პოზიციის დასასაბუთებლად ,,პერსონალურ მონაცემების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლთან ერთად უნდა გამოიყენოს ამავე კანონის მე-4 მუხლიც, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების პრინციპებს. ამ პოზიციას დაეთანხმა ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

ეთიკის კომისიის წევრის ხათუნა გრიგალაშვილის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ დისციპლინური წარმოების წესი განსაზღვრულია ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით.

ეთიკის კომისიის წევრის თეა ჭეიშვილის მოსაზრებით, ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში ადვოკატის სახელის, გვარისა და სიითი

ნომრის სარაჯოობა ემსახურება ორ მიზანს: გადაცდომის ჩამდენი ადვოკატისათვის წარმოადგენს პრევენციას, ალბათობის მაღალი ხარისხით ის ავტორიტეტს მოუფრთხილდება და აღარ ჩაიდენს ეთიკურ გადაცდომას, ხოლო საიტის მომხმარებელი ასევე არის მოქალაქეც, რომელიც ეცდება არ გახდეს დისციპლინირებული ადვოკატის კლიენტი.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, კომისია გადაწყვეტილებაში სახელის და გვარის მითითებით ახორციელებს იმ მიზნის რეალიზაციას, რისთვისაც არის შექმნილი. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში პირის სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითება - გასაჯაროება, ემსახურება პროფესიის კორპორატიულ ინტერესს, რომელიც კონკრეტული ადვოკატის ინტერესზე აღმატებულია.

ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ატვირთულ ეთიკის კომისიის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებში ადვოკატის სახელის, გვარისა და სიითი ნომრის მითითება არ არღვევს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

<u>კენჭრისყრის შედეგები - ერთხმად</u>

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა ამოიწურა, კომისიის სხდომა გამოცხადდა დახურულად.

/ციცინო ცხვედიანი/

სხდომის თავმჯდომარე

/ინგა სეხნიაშვილი/

სხდომის მდივანი